ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1436543

ნომერი: AR1226977

თარიღი : 15.07.2014

გაცემის თარიღი : 18.08.2014

გაცნობის თარიღი : 18.08.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუბლიანა , N 40 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ჩიქვინიძე პ/ნ 01026001804
- თბილისი ბახტრიონის ქ. კორ. 1 ბ. 51

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 24 ივნისს #AR1226977 განცხადებით მომართა იბა "ახალი დიღის მასივი"–ის თავმჯდომარემ ლაშა ჩიქვინიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 22.02.13 წლის #544554 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 22.02.13 წლის #544554 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ლუბლიანას ქ. №40-ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.13.01.018.229) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ ის ნაწილი რომლის დაფიქსირებასაც ითხოვთ საცხოვრებელ ფართად თავისი გეგმარებიდან გამომდინარე წარმოადგენს კომერციულ ფართს, შესაბამისად სამსახური აღნიშნული ფართების ფუნქციის შეცვლაზე თქვენს მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს. იმ შემთხვევაში თუ გსურთ კომერციული ფართის საცხოვრებელ ფართად გადაკეთება სამსახურში შესათანხმებლად წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

დამატებით განგიმარტავთ, რომ კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შესათანხმებლად განაცხადი შეგიძლიათ დაარეგისტრიროთ სამსახურის ვებ-გვერდზე (www.tas.ge) შემდეგი თანმიმდევრობით: ელექტრონული განაცხადების ველში აირჩიეთ „მშენებლობის ნებართვა“, „საცხოვრებლი ობიექტები“, „ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი“, შეავსეთ საპროექტო ობიექტის პარამეტრების განმსაზღვრელი გრაფები, ქმედებების ჩამონათვალში აირჩიეთ „შეთანხმებული პროექტის ცვლილება“ და მონიშნეთ თქვენთვის სასურველი სტადია, რის შედეგადაც პროგრამა ავტომატურად განგისაზღვრავთ წარმოსადგენი დოკუმენტაციის სიას.

სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს თქვენს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწვეტილებას.